ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N102

2018 წლის 29 ივნისი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში მდებარე 676,13 კვ.მ ფართიდან ყოფილი ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 144,86 კვ.მ ფართი (ს/კ 20.46.03.032.01.501) და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების ჯატარება;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30;

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი